# თაკვერი

№5 (13) ივლისი, 1996 წ. თავისუფალი გაზეთი. ფასი 10 თეთრი

## ტრადიცია გრძელდება, ესტაფეტა მომავალ თაობას ელოდება

სურათი გადაღებულია ლადო ასათიანის ძეგლის გახსნისას — პოეტი ჯანსუღ ჩარკვიანი სახელოვანი წინაპრის ძეგლთან საკუთარ ლექსს კითხულობს.



## ლადო ასათიანის საიუბილეო კომისიის სხდომაზე

გაისად სრულდება ქართველი ერის საყვარელი პოეტის, „მარად ჭაბუკად დარჩენილი" ლადო ასათიანის დაბადების 80 წლისთავი.

საქართველოს მწერალთა კავშირმა ამთავითვე დაიწყო სამზადისი დიდი პოეტის იუბილეს ღირსეულად შეხვედრისათვის. შეიქმნა საიუბილეო კომისია, რომელშიც შევიდნენ თვალსაჩინო ქართველი მწერლები, საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

საქართველოს მწერალთა სასახლეში გაიმართა საიუბილეო კომისიის პირველი სხდომა, რომელსაც უძღვებოდა საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე გურამ ფანჯიკიძე.

კომისიის მუშაობაში მონაწილეობდნენ დავით მჭედური, ელგუჯა მაღრაძე, მურმან ლებანიძე, ზაზა აბზიანიძე, გურამ გვერდწითელი ნუგზარ ფოფხაძე, ნელი გურგენიძე, გიორგი შხვაცაბაია, კახა კახაბრიშვილი, ბადრი ქუთათელაძე, ლადო ასათიანის ქალიშვილი — მანანა ასათიანი.

კომისიის გადაწყვეტილებით ღირსეულად აღინიშნება პოეტის იუბილე. იუბილეს ჩატარებაში აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ საქართველოს კულტურის სამინისტრო და ედუარდ შევარდნაძის ფონდი „დემოკრატია და აღორძინება".

საიუბილეო ღონისძიებები მთელ რესპუბლიკაში ჩატარდება. საიუბილეოდ გათვალისწინებულია ლადო ასათიანის პოეზიის რჩეულის გამოცემა. წიგნი, რომლის შედგენა დაევალა მურმან ლებანიძეს, გამომცემლობა „მერანში" დაისტამბება. თბილისში დაიდგმება პოეტის ძეგლი, რომელიც უნდა შექმნას გიორგი შხვაცაბაიამ, იუბილეს ფართოდ გააშუქებენ საქართველოს ტელევიზია და რადიო, ქართული ჟურნალ-გაზეთები.

საიუბილეო დღეების აკორდად იქცევა დიდი საიუბილეო საღამო, რომელიც 1997 წლის მაისის შუა რიცხვებში გაიმართება, ხოლო ივნისში უკვე პოეტის მშობლიური სოფელი ბარდნალა უმასპინძლებს ლადო ასათიანის პოეზიის თაყვანისმცემლებს.

✤ ✤ ✤

*კომისიის წევრები სახელოსნოში ეწვივნენ მოქანდაკე გიორგი შხვაცაბაიას და დაათვალიერეს ლადო ასათიანის ძეგლის ესკიზი.*

*ესკიზმა კომისიის წევრთა დიდი მოწონება დაიმსახურა.*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბიუროს მუშაობის რეგლამენტი

**საქართველოს პარლამენტმა პარლამენტის წევრის ამომრჩევლებთან ურთიერთობის მოწესრიგებისა და სტატუსის განმტკიცების მიზნით მიიღო დადგენილება ერთმანდატიანი საარჩევნო ოლქებში საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარ წევრის ბიუროს შექმნის შესახებ და დაამტკიცა მისი საქმიანობის დებულება.**

**გაზეთის დღევანდელ ნომერში ვბეჭდავთ ამ დადგენილებისა და დებულების მიხედვით შედგენილ პარლამენტის წევრ ვალერი გიორგობიანის ბიუროს სამუშაო რეგლამენტს და ჩვენს ზოგიერთ სხვა მოსაზრებას.**

პარლამენტის წევრის ამომრჩევლებთან ურთიერთობის გაუმჯობესების მიზნით საქართველოს პარლამენტის დადგენილების საფუძველზე ერთმანდატიან საარჩევნო ოლქებში შეიქმნა პარლამენტის მაჟორიტარ წევრის ბიურო და პარლამენტის ბიუჯეტიდან გამოიყო საჭირო თანხა ბიუროს საქმიანობის მატერიალური უზრუნველყოფის მიზნით.

ბიურო იურიდიული პირია, აქვს ბეჭედი და ანგარიში ბანკში, მისი საქმიანობა რეგულირდება დებულებით, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე.

მმართველობის ადგილობრივი ორგანოები უზრუნველყოფენ პარლამენტის მაჟორიტარი წევრების ბიუროებს სამუშაო ოთახებით, სამეურნეო ინვენტარით, კავშირგაბმულობისა და სხვა აუცილებელი საშუალებებით.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მიერ 1996 წლის 4 მარტის განკარგულებით დამტკიცებული დებულების თანახმად ჩვენს რაიონშიდაც შეუდგა მუშაობას პარლამენტის წევრის, ვალერი გიორგობიანის ბიურო; როგორც ვიუწყებოდით, ბიუროს თავმჯდომარეა ზურაბ ხეცურიანი, მთავარი სპეციალისტები აკაკი ჩიქოვანი და ომარ ჭაბუკიანი, სპეციალისტი ლევან ნემსწვერიძე.

ბიუროს არ გააჩნია სამეწარმეო საქმიანობის უფლება; მხოლოდ სხვადასხვა პროგრამების რეალიზაციისა და ქველმოქმედების მიზნით მოიზიდავს თანხებს და ხარჯავს მას დანიშნულებისამებრ.

ბიუროს მთავარი ამოცანაა საარჩევნო ოლქის ამომრჩევლებთან პარლამენტის წევრის კანონშესაფერისი საქმიანობის უზრუნველყოფის ორგანიზება, საერთო-სახელმწიფო და რეგიონალური პოლიტიკის განხორციელების ამოცანათა გადაწყვეტაში მისი როლის ამაღლება, მოქალაქეთა უფლებების სრულყოფილი დაცვის უზრუნველყოფა, განსაკუთრებით კი პარლამენტის წევრის მიერ რეგიონარული პრობლემების დამუშავებისა და გადაწყვეტის საქმეში კონკრეტული, პროფესიული დახმარების გაწევა.

ბიუროს უფლება გააჩნია, პარლამენტის წევრის მოთხოვნითა და დავალებით, აგრეთვე პირადი ინიციატივით, ანდა შემოსული სიგნალების, ამომრჩეველთა თხოვნის საფუძველზე მოითხოვოს სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობითი ადგილობრივი ორგანოებისაგან, აგრეთვე წარმოება-დაწესებულებების ხელმძღვანელობისაგან და სხვა ორგანოთაგან ინფორმაციები კანონების შესრულების მდგომარეობის, უმაღლესი ხელისუფლების გადაწყვეტილებათა და განხორციელების შესახებ, აგრეთვე იმ პრობლემების გადაწყვეტის გზების ძიებისა განხორციელების შესახებ, რომლებიც უზრუნველყოფენ ადგილობრივი (რეგიონალური) ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას, მოსახლეობის სოციალურ დაცვასა და სხვა სასიცოცხლო საკითხთა გადაწყვეტას.

ბიურო აწესრიგებს პარლამენტის წევრის შეხვედრებს ამომრჩევლებთან, მოქალაქეთა მიღების ორგანიზაციას; ამასთან ერთად იგი საჭირო შემთხვევაში აწესრიგებს პარლამენტის წევრის შეხვედრებს ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების წარმომადგენლების, წარმოება-დაწესებულებების ხელმძღვანელების, პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ურთიერთობის კოორდინაცის.

ბიურო თვით გამოითხოვს საჭირო მონაცემებსა და ინფორმაციას სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი ორგანოების წარმომადგენლების, წარმოება-დაწესებულებების ხელმძღვანელების, პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ურთიერთობის კოორდინაციას.

ბიურო თვით გამოითხოვს საჭირო მონაცემებსა და ინფორმაციას სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივ ორგანოებში წამოჭრილ პრობლემებზე, იღებს და იხილავს პარლამენტის წევრის სახელზე შემოსულ კორესპონდენციებს, საჩივრებსა და განცხადებებს და დამუშავებულ ინფორმაციას აწვდის პარლამენტის წევრს.

ბიურო პარლამენტის წევრთან შეთანხმებით აწესებს მიღების დღეებსა და საათებს, საარჩევნო უბნების ან დასახლებული პუნქტების მიხედვით ამომრჩევლებთან (მოსახლეობასთან) შეხვედრის გრაფიკებს; ამასთან შეხვედრებს აწყობს ამომრჩეველთა მოთხოვნისთანავე; მას უფლება აქვს, შეხვედრებში მონაწილეობისათვის მიიწვიოს ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელი და სხვა დაინტერესებული პირი.

ბიურო დამუშავებულ ინფორმაციას აწვდის პარლამენტის წევრის ნებართვით ადგილობრივ მმართველობას და მოითხოვს მასში მოცემული საკითხების გადაწყვეტას.

ბიუროს წლიურ სამუშაო პროგრამას ეცნობა და ამტკიცებს პარლამენტის წევრი.

**პარლამენტის ბიურო.**

**სია იმ საკითხების, რომელთა შესახებ ინფორმაციის შეგროვებასა და დამუშავებას აპირებს პარლამენტის ბიურო (საკითხები ამოღებულია ბიუროს წლიური სამუშაო პროგრამიდან).**

1. რეგიონში (იგულისხმება ლეჩხუმი) სასარგებლო ტრადიცების შესწავლის, მისი დამუშავება-დანერგვის მექანიზმის შექმნისა და სადეპუტატო კითხვაზე დაყენების შესახებ;
2. დემოგრაფიის გათვალისწინებით რეგიონის ერთი კონკრეტული სოფლის (საკრებულოს) მშრომელთა ცხოვრების პირობების შესწავლის; ფერმერული მეურნეობის დანერგვისა და სოფლის (საკრებულოს) ბიუჯეტის წყაროების დაძიება-დაკონკრეტების ღონისძიებათა შემუშავება;
3. ლაჯანურჰესის პრივატიზაციასთან დაკავშირებით საზოგადოებრივი აზრის შესწავლა და რაიონის ხელმძღვანელობისათვის დახმარების გაწევა, მშრომელთა ინტერესებისა და ბიუჯეტის სასარგებლოდ გასატარებელი ღონისძიებებისათვის მწვანე კორიდორის შექმნა;
4. რეგიონის მოსახლეობისა და ლტოლვილთა სოციალური დაცვის არსებული მექანიზმის შესახებ ინფორმაციის დამუშავება და სათანადო დოკუმენტის შექმნა არსებულ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში ადგილობრივი ხელისუფლებისათვის მოსახსენებლად;
5. ენკენობის (ლეჩხუმის ტრადიციული ბაზრობა) პროგრამის დამუშავება და მოქმედების მექანიზმის შექმნა.

# «ბოთლში გამომწყვდეული ზღაპრული ჯინი»

... დაბოლოს „კუკარაჩას“ პრემიერაც შედგა.

გარეთ იდგა ჭარდობისთვის მაგიური სურნელი, შიგნით — ცოცხალი, მიმზიდველი სცენა და დაძაბული, უჩვეულოდ გატრუნული დარბაზი.

ორ წუთში გაფრენილი ორი საათი. მსახიობ-მაყურებელს შორის გახლართული ათასობით ძაფი. ღიმილი, ცრემლი, ტკივილიანი გარინდება და... ოვაციები, „ყვავილების მდინარე“.

ვერ ვიტყვი, რომ დარბაზიდან გამოვიდა თუნდაც ერთი ადამიანი, რომლის გონებას არ გამოჰყოლია გიორგი შკუბულიანის კუკარაჩას კეთილშობილი, მიმზიდველი ღიმილი, დარეჯან სალინაძის ინგას სილაღე და მერე მწუხარებისგან შეშლილი სახე, ზაზა გზობავას მურტალოს ბნელ ცხოვრებაში სინათლედ შეჭრილი, მაგრამ ტრაგიკული სიყვარულის ნამსხვრევები, დათო სანთელაძის დიდი თამაშის მიმზიდველი დახვეწილი თხრობა, მანანა კოპალიანის ქალბატონი ანიკოს სიდარბაისლე და დიდი შინაგანი სითბო, ალბერტ ბენდელიანის ალის, რუბენ გოგიძის, მოსე შავთიშვილის, გულნაზი გოლეთიანის დეიდა მართას იუმორი, ვახტანგ გოგიძის პატარა თამაზ გურიელი, მაია კოპალიანის ანჟელიკა, ვალიდა ბენდელიანის რებეკა, ზაზა ყურაშვილის მოსამართლე, სოზარი ბენდელიანის დავითი, ვილგემ კოპალიანის გაბო და ა. შ.

ერთი სიტყვით, სპექტაკლში იყო, როგორც კომუნიზმისათვის გვპირდებოდნენ ე. წ. სოციალიზმში: „თითოეულისაგან უნარის მიხედვით“... და შედეგიც მოვიდა.

პრემიერა მაყურებელმა მიიღო, აღიარა და მოიწონა.

ეს იყო პასუხი მრავალი დამქანცველი დღისა და უძილო ღამის, ბნელ, გაყინულ დარბაზში სიცივით აცახცახებული თითებისა და დაძაბული ფიზიკური, სულიერი და გონებრივი ძალების. პასუხი მრავალი პრობლემით დამძიმებული, თითქმის უხელფასო, არაპროფესიონალი, მაგრამ უდაოდ ნიჭიერი იმ ახალგაზრდული დასის შრომისა, რომლის თითოეული წევრი, როგორც თეატრის რეჟისორი ზაზა ყურაშვილი აღნიშნავს, მშვენივრად აგნებს, რა აკეთოს, როდის აკეთოს და როგორ აკეთოს. ეს კი ბევრს ნიშნავს.

არც მეტი, არც ნაკლები: ეს იყო საღამო, რომელიც დიდხანს ეხსომება ცაგერელ მაყურებელს.

სპექტაკლის თითქმის ყველა მოთამაშემ შესძლო მეტნაკლებად ბუნებრივი ტიპაჟების შექმნა. ინგასა და მურტალოს თავისებურად საინტერესო, ახლებური სახეები შექმნეს ცაგერელი მაყურებლის საყვარელმა მსახიობებმა დარეჯან სალინაძემ და ზაზა გზობავამ, სპექტაკლში განსაკუთრებული ბუნებრიობით და იუმორით გამოირჩეოდა მოსე შავთიშვილის სამღებროსთან გათამაშებული სცენა, სადაც კიდევ ერთხელ გაიბრწყინა რუბენ გოგიძის არტისტულმა ტალანტმა, მოყვარული მსახიობის გულნაზ გოლეთიანის თამაშმა მაყურებელი დაარწმუნა, რომ მსახიობი ქმნის როლს და ნებისმიერი ეპიზოდური როლი კარგმა შემსრულებელმა შეიძლება წინ წამოსწიოს და სამახსოვროდ აქციოს.

დარბაზმა იხილა მეტად მომხიბვლელი ქალბატონი ანიკო. ეს გახლდათ მანანა კოპალიანის სასცენო დებიუტი, სამსახიობო ნათლობა და უნდა აღინიშნოს, რომ საკმაოდ გამართლებულიც. პრემიერის შემდეგ საუბრისას რეჟისორმა კმაყოფილებით აღნიშნა: „ძნელია, როცა მსახიობი პირველად შედის სცენაზე, განიცდის, ღელავს, კარგავს ბუნებრიობას, მაგრამ ჩვენ დავინახეთ, რომ მანანა შესძლებდა, რადგან ცხოვრებაშიც ჰგავს ანიკოს — ამაყსა და გონიერ ქალს და შესძლო კიდეც“

მე ჩემის მხრივ ერთს დავძენ, როცა პრემიერის მეორე დღეს ერთად ჩავიარეთ ქუჩა, მანანამ რამდენიმე ნაცნობისაგან ასეთი „მდაბალი“ სალამი მიიღო: „გამარჯობათ, ქალბატონო ანიკო!“ ეს კი მსახიობისათვის ცოტა როდია, მით უმეტეს, დებიუტანტისათვის.

მაგრამ, პრემიერის წარმატების საყრდენი განსაკუთრებით ერთი სახე გახლდათ — ყველასათვის საყვარელი, მიმზიდველი და ბუნებრივი კუკარაჩა, იგივე გიორგი თუშურაშვილი, ანუ იგივე გიორგი შკუბულიანი. ლეჩხუმელი მაყურებელი კარგად იცნობს ამ ნიჭიერ, საყვარელ მსახიობს და კარგად ახსოვს მისგან შექმნილი სახეები: ოსიკო — „დარისპანის გასაჭირში“, ამირანი - „ლია შუშაბანდში“, დევდარიანი (იგივე „ლიმონა“) — „საბრალდებო დასკვნაში“, კახა — „შენსკენ სავალ გზებში“ (ამ როლის საუკეთესო შესრულებისთვის გიორგიმ საქართველოს სახალხო თეატრების ფესტივალის, „გურჯაანი-90“-ის დიპლომი მიიღო) და აი, კიდევ, ერთი გამორჩეული სახე-კუკარაჩა. თავისი გარეგნობით, დინჯი საუბრით, შინაგანი სიკეთით და უბრალოებით მსახიობმა შესძლო, სრულყოფილად ეჩვენებინა ამ მეტად უცნაური, სამართლის გამგები, გაჭირვებულის ქომაგი და საყვარელი ვაჟკაცის სახე. როგორც მისი მეგობრები აღნიშნავენ, „გიოსთვის ეს სულაც არ იყო პრობლემა, რადგან ცხოვრებაშიც ასეთია.. და საერთოდ, იგი ყველა როლში ბუნებრივია იმიტომ, რომ არასოდეს თამაშობს — არც სცენაზე და არც ცხოვრებაში; იღებს როლებს, რომლებიც ბუნებით, ხასიათით გავანან მას და წარმატებასაც ეს განაპირობებს.“



უდაოდ, ცაგერის თეატრის სცენას ბოლო წლებში იშვიათად ახსოვს ასე ლამაზად შესრულებული მთავარი როლი, როგორიც გიორგი შკუბულიანის კუკარაჩა გახლდათ.

პრემიერის წარმატებაში მნიშვნელოვანია მხატვრული გამფორმებლის, ნუგზარ კოპალიანის წვლილი.

დამდგმელი რეჟისორის, ზ. ყურაშვილის აზრით, შეიძლებოდა მეტის გაკეთება (იგულისხმება ტექნიკური მხარე, განათება, დეკორაციები) მაგრამ სცენამ არ მისცათ საშუალება. ძირითადად დასმა შესძლო, სასიამოვნოდ და საინტერესოდ ეჩვენებინა სპექტაკლი.

— დიდხანს ვემზადებოდით. უამრავი პრობლემები გველობებოდა წინ. ეს უხელფასო, უსახსრო ხალხი, შაბათკვირასაც მუშაობდა სპექტაკლზე. ეს იყო ენთუზიაზმი. არავითარი წახალისება, პრემია, შემოსავალი ფაქტიურად არ არის. ვწუხვართ, რომ ვისაც ნამდვილად უყვარს თეატრი, ის უსახსრობის გამო ვერ მოდის საყურებლად, არადა თეატრში კლიმატს მაყურებელი უნდა ქმნიდეს — მისი კულტურა, ინტელექტი. კარგი დარბაზი სტიმულია მსახიობისათვის.

— სპექტაკლი, როგორც იტყვიან, ძალით გამოვგლიჯეთ ხელიდან პრობლემებსა და წინაალმდეგობებს. ძალიან გვიჭირს ტექნიკური მუშაკები, — წუხს კულტურის სახლის დირექტორი დარეჯან სალინაძე — მსახიობი სცენაზე გასვლის წინ როლზე ფიქრის ნაცვლად იძულებულია, რეკვიზიტები დაალაგოს, სცენა მოაწყოს. ეს ურთულესია. მით უფრო, რომ მოყვარულთა თეატრია.

ვერ ვიტყვით, რომ სპექტაკლი სრულიად უხარვეზოდ წარიმართა. იყო შემოპარული ცოტა ხელოვნურობა, ცოტა პროვინციალიზმი, მაგრამ პრემიერის წარმატებაზე ამას არსებითი გავლენა არ მოუხდენია.

ახლა მსახიობები სიცილით იგონებენ ერთ კურიოზს: საჭირო მუსიკები საქართველოს ტელევიზიიდან ჩამოუტანიაც, ზოგი ფილმიდან გადმოწერეს, იწვალეს და ნახეთ ბედის ირონია. ყველა რეპეტიციაზე ფირი წყდებოდა, ახალთახალი მაგნიტოფონი ფუჭდებოდა, რეპეტიციის შემდეგ კი ამუშავდებოდა. ასე გაჩნდა დასის წევრებში რწმენა (ხუმრობით, რა თქმა უნდა), რომ სპექტაკლი ღვთისაგან დაწყევლილია და ვერ დაიდგმება. იგივე განმეორდა გენერალურ რეპეტიციაზეც.

— ჰოდა, მიხვდებით, — ჩვეული იუმორით ყვება რეჟისორი, — როგორ დაძაბულები ველოდით პრემიერას, წინდაწინ ვიცოდით, რომ მუსიკა გვიღალატებდა, მაგრამ მაგნიტოფონმა საბოლოოდ მოუხმო სინდისს და „დაწყევლილი მუსიკით“ მშვენიერი პრემიერა შედგა.

როგორც შოთამ ბრძანა: „მაგრამ ღმერთი არ გასწირავს, კაცსა შენგან განაწირსა“.

ცაგერის სახალხო თეატრს ცხრაათწლეულის ისტორია აქვს. იგი საუკუნის დასაწყისიდან (1906 წლიდან) მოდის და მრავალი ლამაზი წუთი უჩუქნია ლეჩხუმელი მაყურებლისთვის. დღესაც ეს ლაღი, ნიჭიერი და უკომპლექსო ახალგაზრდები ერთგულობენ წინაპართა ტრადიცებს. ამჯერადაც, ჯერ ერთი პრემიერის შთაბეჭდილება არ განელებულა და უკვე მოუსვენრობა შეჰყრიათ. აპირებენ მუშაობის დაწყებას ისტორიულ სპექტაკლ „ლაწუნდარაზე“. პრობლემათა სიუხვის მიუხედავად ახალგაზრდები ფარხმალს არ ყრიან და ისევ უმზადებენ ლამაზ წუთებს ლეჩხუმელ მაყურებელს.

... და ამათ შემყურეს კვლავ ნოდარ დუმბაძის ანიკო მაგონდება: „სული მე მაინც ზღაპრული ჯინივით ბოთლში გამომწყვდეული ადამიანის ფიქრი და ოცნება მგონია რომელსაც თავისუფლებისაკენ მარადიული ლტოლვა და სწრაფვა ახასიათებს. მერე ჩვენ ზოგჯერ ნებით, ზოგჯერ უნებლიეთ ვანთავისუფლებთ მას ამ ბოთლიდან. უფრო ხშირად კი თვითონ ითავისუფლებს თავს და სასწაულებს ჩადის მეცნიერებაში, ხელოვნებაში, ლიტერატურაში. ყველა გენიოსი მე ბოთლიდან გათავისუფლებული ჯინი მგონია. მართალია, ზოგი დიდია, ზოგი პატარა. ზოგი უფრო სუსტი, ზოგი უფრო ძლიერი, მაგრამ ამას მნიშვნელობა არა აქვს, რადგან ბოთლიდან გათავისუფლების ბედნიერებას ყველა ერთნაირად განიცდის.“

**მაყვალა კოპალიანი**

# ერთი თვითმკვლელობის ისტორია



❖❖❖

ეთერ ნაცვლიშვილი
გაზეთი
„სრულიად არა საიდუმლოდ"

პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივნის მამუკა ასლანიკაშვილის თვითმკვლელობის შესახებ პუბლიკაცია პირველად გაზეთ „მოწამეთაში" გამოჩნდა. იგი ქუთაისში გამოდიოდა 1990 წლიდან. წერილს მოჰყვა რამდენიმე გამოხმაურება, რომელიც მომდევნო ნომრებში დაისტამბა. მოსკოვში შევხვდი სოლიკო ხაბეიშვილის ადვოკატს ევგენი ვოლფს, მასალებს გადმომცემდა ქალბატონი გიული ურუშაძე სოლიკო ხაბეიშვილის მეუღლე. საპატიმროში ვხვდებოდი ზურაბ მასურაძეს, ცკ-ს საორგანიზაციო განყოფილების ყოფილ ინსპექტორს. ვესწრებოდი სასამართლო პროცესებს, იმ თანამდებობის პირთა მიმართ, რომლებიც 85-87 წლებში რეპრესირებულებს განეკუთვნებიან, ვესაუბრებოდი საქალაქო კომიტეტის მაშინდელ მუშაკებს, მათ შორის იმათაც, რომლებმაც თვითმკვლელობის დღეს ნახეს და ელაპარაკნენ პირველ მდივანს. სრულიად ცხადია, რომ 85–87 წლების რეპრესიებში მამუკა ასლანიკაშვილი მხოლოდ ერთი რგოლი იყო, კონფლიქტს კი გრანდიოზული მასშტაბები ჰქონდა. სკკპ ცკ-ს გენერალური მდივნების ბრეჟნევის, ჩერნენკოსა და ანდროპოვის გარდაცვალების შემდეგ აშკარა გახდა განხეთქილება, რომელიც ბრეჟნევის სიცოცხლის ბოლოს და მისი სიკვდილის შემდგომ წლებში მწიფდებოდა.

კრემლი ორ ნაწილად გაიყო, იქ მრავალი შიგა დინება იყო, მაგრამ პირობითად შეიძლება პროგრესულ ჯგუფს გორბაჩოვი ჩავუყენოთ სათავეში. კონსერვატულს-ლიგაჩოვი. გორბაჩოვმა წამოიწყო გახმაურებული უზბეკეთის საქმე (რაშიდოვი, ადილოვი) ლიგაჩოველები კრასნოდარისა და სტავროპოლის მხარეებში გააფრთებით ეძებდნენ კორუფციისა და მექრთამეობის ფაქტებს. საჭირო გახდა სსრკ საგარეო საქმეთა მინისტრის ედუარდ შევარდნაძის დისკრედიტაცია. ამუშავდა 37-ში გამოცდილი სქემა. კარგად უნდა გაიჩხრიკოს კაცის ბიოგრაფია. გამოინახოს ყოფილი თანამოსაქმეები, რომლებმიც ნებისმიერი ხერხით აიძულო, მოგცენ მსხვერპლის მაკომპრომეტირებელი ჩვენება.

კრემლმა ამ თამაშში საქართველოდან ჩართო ცკ-ს პირველი მდივანი ჯუმბერ პატიაშვილი და კრემლის ნამესტნიკი ბორის ნიკოლსკი. მარიონეტულმა მთავრობამ მიზანში ამოიღო სოლიკო ხაბეიშვილი ცკ-ს ერთ-ერთი მდივანი. შევარდნაძის ახლობლად მიჩნეული პიროვნება: ჩამოყალიბდა საგამომძიებლო ჯგუფი, განუსაზღვრელი უფლებებით, რომელიც ანგარიშს პირდაპირ მოსკოვს აბარებდა, ადგილზე კი პატიაშვილის და ნიკოლსკის მფარველობის ქვეშ იმყოფებოდნენ.

იწყება საქმე, აპატიმრებენ ხაბეიშვილს, რეპრესიების ტალღა გადაუვლის მთელ საქართველოს. უმაღლესი დონის შეკვეთა—დამტკიცდეს ხაბეიშვილის მექრთამეობა და შევარდნაძესთან მისი დანაშაულებრივი ურთიერთობა.

რეპრესიების ტალღამ გადაიარა ქუთაისშიც, სადაც ხაბეიშვილი 10 წლის წინათ ხელმძღვანელობდა ქალაქის პარტიულ ორგანიზაციას. სხვადასხვა მოტივებით დააპატიმრეს ერთ-ერთი წარმოების ხელმძღვანელი ედუარდ ფრუიძე ადგილმრეწველობის გაერთიანების დირექტორი ვახტანგ კოღუაშვილი, სამკერვალო გაერთიანების დირექტორი ბესიკ ტოფაძე სასტუმრო აჭარაში შინაპატიმრობაში ჰყავდათ პარტიის საქალაქო კომიტეტის ყოფილი გამგეები ამირან გელენიძე და დემურ მონიავა. მათგან შედარებით ადვილად მიიღეს სასურველი ჩვენებები, ამიტომაც ეს ორი პიროვნება გადარჩა.

მაშინდელი დაუწერელი კანონების მიხედვით, რესპუბლიკის ზემდგომი ორგანოების საქმიანობა ქალაქში თანხმდებოდა პირველ მდივანთან. ამ შემთხვევაში გამოძიება უგულვებელყოფდა მამუკა ასლანიკაშვილს, რაც ავის მომასწავებელი იყო მისთვის. როცა იგი ამ ადამიანთა ბედით თვითონ დაინტერესდა, საკმაოდ უკმეხი პასუხი მიიღო.

მამუკა ასლანიკაშვილი თავისი ბიოგრაფიით არ უკავშირდებოდა ხაბეიშვილს და თითქოს იგი არ უნდა მოხვედრილიყო ამ რგოლში, მაგრამ აქ დიდი როლი ითამაშა ერთმა ფაქტორმა. პატიაშვილი ვერ იტანდა შევარდნაძის კადრებს, რომელთა შორის უპირველესად ითვლებოდა ჟიული შარტავა, მამუკა ასლანიკაშვილი, თემურ შაშიაშვილი და სხვები. ასლანიკაშვილზე უარყოფითი საზოგადოებრივი აზრი შეიქმნა, დაიწყეს მაშინდელი ფინანსთა მინისტრით, შემდგომში პატიმარ ანანიაშვილით. ჰყვებოდნენ, რომ ასლანიკაშვილმა როგორც პირწავარდნილმა კარიერისტმა, საკუთარი უკომპრომისობის დასამტკიცებლად, სრულიად უსამართლოდ ამხილა იგი მექრთამეობაში და სიკვდილისათვის გაიმეტა. (სასამართლომ დახვრეტა მიუსაჯა ანანიაშვილს, შემდგომში კი შეცვალა განაჩენი).

რეალურად ზესტაფონის რაიკომის პირველმა მდივანმა—მამუკა ასლანიკაშვილმა მექრთამეობის ფაქტებზე ამხილა ფინანსთა სამინისტროს თანამშრომლები, რომლებიც ღვინის ქარხნებს ამოწმებდნენ ზესტაფონში.

გეგმის ავტორების პროგრამა ასეთია: ასლანიკაშვილი როგორმე დაუკავშირდეს ხაბეიშვილს. მუშავდება ამგვარი ვერსია—ხაბეიშვილი მექრთამე იყო, იგი დანაშაულებრივად უკავშირდებოდა ქუთაისში თანამდებობის პირებს. ეს ადამიანები დღესაც თანამდებობაზე არიან, ე. ი. მათ მფარველობს პირველი პირი.

იწყება „ასლანიკაშვილის საქმე", რომლის იდეოლოგიური უზრუნველყოფა პრესას და ტელევიზიას დაევალა, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ჭირვეულ მომჩივანთა განცხადებებს, ეკრანისა და პრესის ფურცლებზე გაიელვებს ცინიზმითა და მენტორული ტონით სავსე ფრაზებმა. ბორის ნიკოლსკი საჯაროდ შეცდომად ჩათვლის ბაგრატის ტაძრის აღდგენითი სამუშაოების დაწყებას.

დაიწვა ქუთაისის სამმართველოს ერთ-ერთი საწყობი. აღწერამ დანაკლისი გამოავლინა, რაც ვაჭრობის სამმართველოს უფროსის იუზა კლდიაშვილის დაპატიმრების საბაბი გახდა. წრე შეკრეს ქალაქკომის ადმინისტრაციული ორგანოების განყოფილების გამგის გიორგი ამირანაშვილის გარშემო. მისი დაკავების ხერხები ძალიან ჰგავდა ყველაზე საშიში რეციდივისტის დაპატიმრებას. (გადაიკეტა ქუჩები და სხვა). ერთ-ერთ მნიშვნელოვან პარტიულ შეკრებაზე ნიკოლსკი კლდიაშვილს პირწავარდნილ მექრთამედ, ამირანაშვილს კი მის მფარველად გამოაცხადებს. როგორც ამირანაშვილმა გვითხრა, რამდენიმე ხნით ადრე, ცკ-ს ერთერთმა თანამშრომელმა მას საიდუმლოდ უთხრა: — ხაბეიშვილის საქმესთან დაკავშირებით იგი (ამირანაშვილი) შავ სიაში იყო შეტანილი.

დაიწვა ასი წლის მაუდის ფაბრიკა, ქეც ქალაქის ხელმძღვანელობის ცუდ მუშაობად ჩაითვალა. უმძიმესი დარტყმის ქვეშ მოჰყვა ასლანიკაშვილი ჩერნობილიდან მოსული ცნობის გამოც: — ქუთაისის საავტომობილო ქარხნიდან გაგზავნილი მანქანები ვადაზე ადრე დაზიანდა. როგორც გაირკვა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მანქანებით უმძიმესი სამშენებლო მასალები გადაჰქონდათ და ამ გადატვირთვამ თავისი ჰქნა. მაგრამ ეს მაშინ არავის არ აინტერესებდა; მთავარი იყო მამუკა ასლანიკაშვილზე ფსიქოლოგიური ზემოქმედება, მისი წონასწორობიდან გამოყვანა, ალბათ, ამ მიზნის მიღწევას ემსახურებოდა ძალოვანი სტრუქტურების ერთ-ერთი მაღალი თანამდებობის პირიც. იგი ხშირად ურეკავდა და მეგობრულად, „საიდუმლოდ" აცნობებდა, რომ დაპატიმრებულებმა იგი მექრთამეობაში ამხილეს. როგორც შემდგომ გაირკვა, ინფორმაციები ყალბი იყო. ასეთ ვითარებაში დადგა 86-ის იანვარი. მდგომარეობა დღითი-დღე იძაბებოდა. დაიწყო ქუთაისის ალმასკომის თავმჯდომარის ხაზარაძის საქმე. „რადგან იგი ხაბეიშვილის შორეულ ნათესავად მიაჩნდათ", კომისია დაჯდა აზრეშუმის საწარმოო გაერთიანებაში, სადაც იგი დირექტორად მუშაობდა დაწინაურებამდე. ეძებდნენ იმ დროისათვის ყველაზე გავრცელებულ საწარმოო დანაშაულს—მიწერას. ეს —კრიმინალური მხარე. პარტიული კუთხით მისი საქმიანობის ჩხრეკას ხელმძღვანელობდა ცკ-ს პარტიული კომისიის თავმჯდომარე შალვა ყარყარაშვილი. ეძებდნენ ჯარიდან მისი განთავისუფლების საკითხებს. ასლანიკაშვილს უსახავდნენ ილუზიურ შანსს გადარჩენისას, თუ იგი ხაზარაძეს გაანთავისუფლებდა. მათ შორის შედგა საუბარი საკმაოდ დაძაბული. ვიტალი ხაზარაძე ითხოვდა დაესაბუთებინათ გათავისუფლების მიზეზი.

მაისის ბოლოს ე. წ. საუბარზე ასლანიკაშვილთან შევიდა საგამომძიებლო ჯგუფი ქალბატონ ნანა აბულაძის ხელმძღვანელობით. ეს საუბარი უფრო დაკითხვას ჰგავდა.

ამის შემდეგ დაიწყო „შავი დღეები" ქუთაისის ხშირი სტუმარია ბორის ნიკოლსკი. ის ხვდება ქალაქის ხელმძღვანელობით „უკმაყოფილო" ადამიანებს.

9 ივნისს ასლანიკაშვილი თბილისს გაემგზავრა. იგი შეეცდა (უკვე მერამდენედ) შეხვედროდა ცკ-ს პირველ მდივანს, მაგრამ პატიაშვილთან იგი არ შეუშვეს. ამ დროისათვის იგი იარაღს ატარებდა. იარაღით იყო ცეკაშიც.

ქუთაისში დილით დაბრუნდა.

აეროპორტში მას დახვდა სასამსახურო მანქანა; პირველი მდივნის მძღოლი ჯ. გვენცაძე (გარდაცვლილია) მოგვიანებით, ჩვენების მიცემისას გაიხსენებს, რომ გზად — აეროპორტიდან სახლამდე—ასლანიკაშვილმა ორჯერ მოსწია სიგარეტი, თუმცა საერთოდ იგი არ ეწეოდა.

10 ივნისს ასლანიკაშვილი სახლიდან სამსახურში მიდის და 14 საათამდე თავის კაბინეტში მუშაობს, როგორც ამბობენ არავინ მიუღია, 14-დან 15 საათამდე შინაა, სადილობს ოჯახის წევრებთან ერთად. ჩვენების მიხედვით მეუღლეს (ლია ასლანიკაშვილს) არ ახსოვს სწორედ მაშინ, თუ წინა დღეებში როგორ არ მინდა შენ და ალეკოს გიღალატოთო (ალეკო შვილის სახელია); ქალბატონი ლია ამ სიტყვებს მოგვიანებით, მეუღლის თვითმკვლელობის შემდეგ გაიცნობიერებს.

სამსახურში წასვლამდე ლიფტთან ასლანიკაშვილი შვილს აკოცებს. ამის შემდეგ მამა-შვილს ერთმანეთი აღარ უნახავთ.

—ნაშუადღევს კაბინეტში იჯდა. დრო და დრო თბილისიდან ურეკავდნენ. ოთხ საათზე თანაშემწემ ფოსტა შეუტანა. საღამოსათვის გადავდოთო, უთხრა და თან დაატანა,—მისაღებში იყავი, არავინ შემოვიდეს დოკუმენტებზე ვმუშაობ. ცოტა ხნის შემდეგ გ. ქელბაქიანი (თანაშემწე) ისევ შეიხედავს: მამუკამ თითქოს ვერ დამინახა, შევედი, პეპსი-კოლა გავხსენი, პირდაპირ ბოთლიდან დალია. და დაუდევრად დადო. ბოთლი გადმოვარდა, მაგრამ ყურადღება არ მიუქცევია.

ტელეფონმა დარეკა, შინაგან საქმეთა სამინისტროდან „მეგობარი" ურეკავდა.

—ჰო,—ჰო,.. მერე შენ გჯერა ეს? — ყურმილი დაკიდა.

ისევ ტელეფონის ზარი.

...

ხანმოკლე საუბრის შემდეგ გაითიშა, ან ნიკოლსკიმ ყურმილი მოულოდნელად დადო.

ამ დროს მისაღებში სხედან მეორე მდივანი ბადრი მელქაძე და აღმასკომის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ზურაბ ქაჯაია,

ისევ ზარი.

...

ყურმილი დაუმშვიდობებლად დადო.

იჯდა გაქვავებული.

—ხომ არაფერი გინდათ, მამუკა ალექსანდროვიჩ?

კითხვა უპასუხოდ დარჩა.

—ქაჯაია და მელქაძე გელოდებიან.

—ჰო, შვიდზე უნდა შევხვედროდი.

რვის თხუთმეტი წუთი იყო.

ისინი შევიდნენ.

რამდენიმე წუთში გამოვიდნენ, როცა დერეფანში პირველი მდივნის დასასვენებელ ოთახს გაუსწორდნენ გასროლაც გაისმა.

მელქაძე და ქაჯაია სასწრაფოდ შერბიან ასლანიკაშვილის კაბინეტში, მათთან ერთად უკვე გარდაცვლილი პირველი მდივანი ნახა ბორის ქარსელაძემ (ქალაქკომის საერთო განყოფილების გამგე).

თბილისიდან სპეცთვითმფრინავით ჩამოვიდნენ რესპუბლიკის პროკურორი ვახტანგ რაზმაძე, შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ვარლამ შადური, ცკ-ის ადმინისტრაციული ორგანოების განყოფილების გამგე გივი გუმბარიძე. ზესტაფონის რაიკომის პირველი მდივანი ჯემალ გორგოძე.

—რაღა კაბინეტში მოიკლა თავი! — ვახტანგ რაზმაძის ამ სიტყვებს ყველა აქ მყოფი დაიხსომებს...

ცხედარი პირველ საათამდე არ გაუტანიათ საავადმყოფოში. ორი იყო დაწყებული, როცა ქალაქკომის შენობასთან მოვიდნენ მეუღლე და შვილი. დილამდე გარდაცვლილი ავტოქარხნის მედსანნაწილის პათანატომიურ ცენტრში ჰყავდათ. მერე სახლში გადაასვენეს საღამოს, დაუგეგმავ პანაშვიდზე უამრავი ხალხი შეიკრიბა...

11-ში სახლში ლია ასლანიკაშვილის დასაკითხად მოვიდა ამჟამად აფხაზეთის პროკურორი ანზორ ლაცუზბაია.

14 ივნისს, დილის ექვს საათზე, გასვლა არ მოხერხდა. ზესტაფონში პროცესიას უამრავი ხალხი დახვდა. თბილისში, ყიფშიძის ქუჩაზე გაიმართა პანაშვიდები. 14 და 15 ივნისს ცკ-ს თანამშრომლები ღამით, პირველი საათის მერე მოდიოდნენ. პანაშვიდზე „ლიად" მოვიდნენ ჟიული შარტავა, კოტე სალია, ანზორ ბურჯანაძე, თემურ შაშიაშვილი, ისინი ღამითაც მოდიოდნენ. ოჯახს თბილისში საბურთალოსა და ვაკის არცერთ სასაფლაოზე არ მისცეს მისი დასაფლავების უფლება. მუხათგვერდის შეთავაზება უარს ნიშნავდა.

პროცესიას, რომელიც რუსთავისაკენ 16 ივნისს გაემართა, 100 მანქანა მაინც მიჰყვებოდა. როგორც ჩანს, მთავრობას გართულებების შეეშინდა და პროცესიას ავტოინსპექციის მანქანა ჩაუყენა სათავეში და რუსთაველის პროსპექტის გვერდის ავლით, სანაპიროთი გაიყვანეს ქალაქიდან.

რუსთავში მამუკა ასლანიკაშვილის დასაფლავება დემონსტრაციას უფრო ჰგავდა. სწორედ ეს არ აპატია ჟიული შარტავას (ქალაქკომის მაშინდელი მდივანი) პატიაშვილმაო, — ამბობდნენ მერე.

შემდგომში გამოძიება დაადგენს, რომ „თვითმკვლელობა ჩადენილია პარაბელუმის სისტემის №7448 ცეცხლსასროლი იარაღით. მას ასლანიკაშვილი უნებართვოდ ატარებდა. რევოლვერში აღმოჩნდა 6 საბრძოლო ვაზნა, ტყვიის ლულა, იატაკზე ეგდო გასროლილი ტყვიის მასრა. გარდაცვლილს პიჯაკის შიგნითა გულის ჯიბეში აღმოაჩნდა პარაბელუმის სისტემის ცეცხლსასროლი იარაღის მჭიდი რვა საბრძოლო ვაზნით. შარვლის ჯიბეში კი იმავე სისტემის იარაღისათვის განკუთვნილი ერთი საბრძოლო ვაზნა. ნასროლია ძლიერ ახლო მანძილიდან, პირის ღრუში, ქვემოდან ზემოთ."

როგორია რესპუბლიკის პროკურატურის ვერსია თვითმკვლელობის გარემოებათა თაობაზე?

„1983 წლის 25 ნოემბერს საქალაქო კომიტეტის ბიურომ იმსჯელა ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების სისტემაში მომხდარ დარღვევებზე და ამ სამმართველოს უფროსს ქ. უკლებას გამოუცხადა სასტიკი საყვედური სააღრიცხვო ბარათში შეტანით. ბიუროს შემდეგ ოქმსა და დადგენილების ამონაწერში ეს სასჯელი განსხვავებული იყო, კერძოდ ასლანიკაშვილის მითითებით სიტყვა—სასტიკი ამოიღეს. ქარსელაძე აჩვენებს, რომ ასლანიკაშვილს უთქვამს, ამას ხაბეიშვილის თხოვნით ვაკეთებო.

1986 წლის 22 იანვარს პარტიის ცკ-ის საერთო განყოფილებისათვის ასლანიკაშვილის ხელმოწერით გაგზავნილ წერილში (უკლებას მიმართ მოქალაქის საჩივრის გამო), აღნიშნულია: 1983 წლის ზემოხსენებული ბიუროს დადგენილებით, უკლება გათავისუფლებული იყო სამმართველოს უფროსის თანამდებობიდან და გამოცხადებული ჰქონდა სასტიკი საყვედური. სინამდვილეში უკლება სამსახურიდან გათავისუფლებული არ იყო. ამას ასლანიკაშვილის ხელმოწერითვე ვაჭრობის მინისტრისადმი გაგზავნილი წერილიც მოწმობს, რომელშიც უკლება კვლავ სამმართველოს უფროსად მოიხსენიება და ამ პოსტზე მყოფს, რეკომენდაცია ეძლევა სხვა, შედარებით დაბალ ხელმძღვანელ თანამდებობაზე. ვაჭრობის მინისტრისადმი გაგზავნილი წერილის (თარიღი პროკურატურის დადგენილებაში არ მოიხსენიება) თვითმკვლელობის წინა დღეს, ორშაბათს 9-ივნისს ასლანიკაშვილმა წაიღო მასალები, როგორც თვითონ თქვა, პრესის ცკ-ში საჩვენებლად, მაგრამ სამშაბათს, 10 ივნისს ე.ი. თვითმკვლელობის დღეს, როცა თბილისიდან დაბრუნდა, ქარსელაძის შეკითხვაზე, თუ რა შედეგი მოჰყვა ცკ-ში მათ გაცნობას, უპასუხა: ამ საკითხზე ცკ-ში საუბარი საერთოდ არ ჰქონია.

ახლა სხვაც.

„1986 წლის 4 იანვარს" სახელმწიფო ქონების დიდი ოდენობით დატაცების კვალის დაფარვის მიზნით დაიწვა ვაჭრობისა და საზკვების სამმართველოს კულტსაქონლის №7 საწყობი, რის გამოც სახელმწიფო ქონების დატაცებაში ამხილეს მეკუჭნავეები: ვაჩიბერაძე და ხეცურიანი, დააპატიმრეს ვაჭრობისა და საზკვების უფროსი ი. კლდიაშვილი და მისი მოადგილე ა. სოხაძე. თანამდებობის ბოროტად გამოყენებასა და მექრთამეობაში ამხილეს პარტიის საქალაქო კომიტეტის ადმინისტრაციული ორგანოების, ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების განყოფილების გამგე გიორგი ამირანაშვილი.

მომხდარ ფაქტზე პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტმა ზემდგომ ორგანოებს არასწორი ინფორმაცია მიაწოდა, რაც გაზეთ „კომუნისტის" მკაცრი გამოსვლის საფუძველი გახდა.

სახალხო კონტროლის რესპუბლიკური აქტივის კრებაზე ამირანაშვილი დასახელებულია სამაგალითოდ, როგორც მექრთამე.

შენიშვნა: სწორედ აქ დაირღვა უდანაშაულობის პრეზუმფცია—ელემენტარული იურიდიული ნორმა. ამირანაშვილს მექრთამეობა აღარ დაუმტკიცდა. ეს ამირანაშვილი სწორედ ის კაცია, მექრთამეობაზე მხილებით რომ დაიჭირეს და შემდგომ ბანკეტების (სხვათა შორის ქალბატონ ვერიკო ანჯაფარიძისაც) ორგანიზებისათვის გაასამართლეს. ბოდიში მაინც თუ მოუხადა მას სახალხო კონტროლის რესპუბლიკური აქტივის რომელიმე კრებამ?

დადგენილებაში წერია: აღნიშნული და სხვა მთელი რიგი საკითხების გამო მ. ა. ასლანიკაშვილი მოექცა „ჯანსაღი კრიტიკის" ქვეშ, რასაც იგი ძლიერ განიცდიდა და აღელვებას ვერ ფარავდა თანამშრომლების და ახლობლების წრეში.

ქარსელაძე აჩვენებს, რომ ამირანაშვილის დაპატიმრების შემდეგ პირად საუბარში ასლანიკაშვილმა მას ჰკითხა, — რა შეიძლება ჩემს მიმართ თქვას ამირანაშვილმაო.

დანაშაულის შემთხვევის არარსებობის გამო საქმე—ასლანიკაშვილის თვითმკვლელობის ფაქტზე შეწყდა; შეწყდა აგრეთვე

საქმე—იარაღის უკანონოდ ტარებისა და სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენების ფაქტებზე.

გარდაცვალების გამო პროკურატურამ საქმე კი შეწყვიტა. მაგრამ პარტიას სიცოცხლესა და სიკვდილზე აღმატებული თავისი სიტყვა მაინც ხომ უნდა ეთქვა? თქვა კიდეც—პარტიული ორგანიზაციების რაიონულ და საქალაქო კომიტეტებს ლურჯყდიანი საიდუმლო ბიულეტენები დაურიგდათ. ეს ბიულეტენები მ. ასლანიკაშვილს პირწავარდნილ მექრთამედ აცნობდა კომუნისტებს. სიკვდილის შემდეგ იგი პარტიიდანაც გარიცხეს!

შემდგომში მახარაძის რაიკომის ყოფილი პირველი მდივანი ო. თენეიშვილი მისწერს ჯ. პატიაშვილს (27.04.87);

„რად გინდათ ასე ხელოვნურად შექმნილი ტრაგედია, რად გინდათ ამდენი ოჯახის ცოდვაში ფეხის ჩადგმა, რა უნდა უთხრათ თქვენ ასლანიკაშვილის, პაპუნიძის, დონაძის და სხვების საფლავებს და, საბოლოოდ თქვენ პირადად როგორ უნდა იცხოვროთ ამ ქვეყანაზე. რად გინდათ ამდენი პარაზიტი გამომძიებლის და მოსამართლის ვალი—იმათმა ხომ ყველამ იცის რაშია საქმე".

1989 წლის 9 აპრილის შემდეგ, პატიაშვილს პოსტს ატოვებინებენ, ციხიდან გამოდის ხაბეიშვილი, რომელსაც რამდენიმე წლის შემდეგ საკუთარი სახლის წინ მოკლავენ.

1995 წლის 5 ოქტომბერს არჩევნებში პატიაშვილი პრეზიდენტობის პოსტზე იყრის კენჭს. მას, ბუნებრივია, პასუხს თხოვენ 85-87 წლების რეპრესიების და განსაკუთრებით ასლანიკაშვილის თვითმკვლელობამდე მიყვანისათვის. იგი ამ მოვლენებს დროისა და ვითარების შესაბამის პოლიტიკად მიიჩნევს.

საქართველოში დიდი ხანი დასჭირდება სამართლებრივი სახელმწიფოს აშენებას, ადამიანების მენტალიტეტში სასიკეთო ცვლილებების შეტანას. ამჟამად ყველანი პოტენციური დამსჯელები და დასჯილები ვართ. ასლანიკაშვილის თვითმკვლელობა 80-იანი წლების ერთ-ერთ პირველ პოლიტიკურ მკვლელობად უნდა მივიჩნიოთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ახ, დრონი, დრონი...





სურათებზე: მარცხნივ—ცნობილი გენერალი თავისი განუყრელი „მეგობრით" ხელში. ზემოთ—თბილისის დინამოს ვეტერან ფეხბურთელთა გუნდი „ცაგერობის" სტუმარი იყო. როინ ზურაბიანი—ცაგერის „ხვამლის" წევრი, პენალი დაარტყა დინამოს კარში, რომელსაც რამაზ ურუშაძე იცავდა; ამ უკანასკნელმა თქვა: ასეთი ყუმბარა ჯერ ჩემს კარში არავის შეუგდიაო. „ლადოობის" მონაწილეთა ერთი ჯგუფი. (1984 წ.)



## ბიჭიკო ქარსელაძე—ოჯახის განუმეორებელი ფუძე



დრო ულმობლად მიდის ჩვენო იმედო და სინდის-ნამუსო მიდიხარ კია არა, მიფრინავ—ასე გვეჩვენება. არ მიკვირს: შენი გოგიას სულთან შესაერთებლად მიიჩქარი. ჩვენთვის შენი ოჯახის წევრებისათვის და თითქმის ყველასათვის განურჩევლად, უბრალოდ ბიჭიკო იყავი და ასევე რჩები—ჩვენ შენი უზარმაზარი ნაცნობობისა და საქმიანობის აზრს ვუერთდებით. როგორი ამაყი და შემართებული იყავი, როგორ გიყვარდა მეზობელი, სტუმარი, მასპინძელი, განსაკუთრებით—სისხლი და ხორცი. რა გულდაჯერებით იტყოდი—კი მეგობარიც, ამხანაგიც, თანატოლიც, მაგრამ სისხლი და ხორცი სულ სხვაა: გეტკინა, ბიჭიკო, სისხლი და ხორცი ყველა ერთად რომ დაინახე, თბილად ჩაგელვარა გულში მათი სითბო და ალერსი; არც ერთი სიტყვა არ დატოვე არც საანდერძოდ და არც საკამათოდ. გეტყობა და განსაკუთრებით ახლა ჩვენც ვგრძნობთ, რომ შენი თბილი და ამაყი გული მასში ჩაღვრილი სითბოთი და კაცურკაცობით სამაგალითოდ დაუტოვე შენს საყვარელ ოჯახსა და დიდ სანათესაოს.

ორჯერ დაგვენგრა ფუძე და სამომავლო საცხოვრისი; ორჯერვე გაიმართე წელში და დიდი ოჯახის ტრადიციებისათვის ოდნავადაც არ გიღალატია; პირიქით— უფრო გულღია, ალერსიანი, სტუმარ-მასპინძლის განსაკუთრებული მოყვარული გახდი. ცოტას კი შევმცდარვართ, ბიჭიკო, შენი საყვარელი გოგიას დაღუპვას გაუტეხიხარ, შენი ამაყი გული უჩუმრად წაულია, „დიდ სოფელში" მიუწვევიხარ და გეტყობა, შენც უარი არ გითქვამს—აბა, როგორ ეტყოდი შენს სამოძმოს უარს, მაგრამ ჩვენ?! ეს კია, რომ ამაყი სიკვდილით წახვედი წუთისოფლიდან, ერთხელაც არ დაგიწუწუნია და გვჯერა, რომ ასე ამაყად შეუერთდი შენი სამოძმო შვილის „სამფლობელოს".

ორივეს გძინავთ ცივ სამარეში. ჩვენ კი რა დაგვრჩენია: მოგონება, მოგონება და კვლავ მოგონება; შავ თალხადაა ქცეული შენი მეუღლე, ცრემლში იხრჩვებიან ფატი და სოფიკო, გულჩანგრეული დაჰყურებენ შენს სამარეს სიძეები—თენგიზი და კობა. დაფიქრებული შენი მიშკაკუნა (როგორ ეძახდი, დაგიმახსოვრა გვანცამაც, მაგრამ მარი და ანა სურათიდან გაგიცნობენ მხოლოდ. ერთი მხრივ ბედნიერიცა ხარ—მრავალდაძმობას ჩვეულმა საკმაოდ დიდი ოჯახი დატოვე, მაგრამ უბედობაც დაგჩემებია—ბოლომდე შვილთა და შვილიშვილთა სიყვარულის გრძნობაც ვერ შესვი, პირიქითაც მოხდა—გულდათუთქული, სამოძმო გამოცლილი წახვედი წუთისოფლიდან.

დასანანია შენი წასვლა ასე ახალგაზრდად; არ დაგინდო წუთისოფელმა და სიკვდილის ცელმა ასე ულმობლად ამოგთალა ცხრა დედმამიშვილიდან. განსაკუთრებით ამიტომაც დაგვაკლდი: ადუღაბებდი ოჯახს და აერთებდი მთელს სადედმამიშვილოს; თითქმის დაგვშალე კიდეც, მაგრამ ეს დროებითია—შეგვაერთებ, აუცილებლად შეგვაერთებ და ამ შეერთების საფუძველი კვლავ შენი ოჯახი იქნება—ეს გწამდეს. სხვა გზა არც ჩვენ გვაქვს და არც შენს მოუსვენარ სულს.

ბედნიერება შენთვის თითქმის უცხო იყო—იმდენჯერ გაგიჭირდა, იმდენჯერ გეტკინა გული, იმდენჯერ აგიფორიაქეს ამაყი სული, იმდენჯერ არ გაგიმართლა ან მარცხი განიცადე; მაგრამ ეს ყოველივე შენზე თითქმის ბევრად არ იყო დამოკიდებული, ანდა რატომ არ უნდა გაგმართლებოდა: იყავი განუმეორებელი ძმა, გულღია და საიმედო ბიძა, თბილი ბაბუა.

გვენატრები, ძალიან გვენატრები, ყოველთვის მოგვიჩქარია ჩვენი ფუძე-ძირისაკენ, გვგონია ისევ ბავშვივით ზიხარ ამოჩემებულ სკამზე, ამოჩემებულ ადგილზე, მაგრამ ვაი, რომ აღარასდროს ჩაჯდები შენს სავარძელში და შენს სამოძმოს ვეღარ მოუხმობ. მაინც ვჩერდებით შენი აჩრდილის წინ და მოდის ცრემლი; გროვდება ფიქრი არასდროს შეხვედრისა, მოუფერებლობისა; ხორცისა და სულის აუცილებელი გაცლისა: მიწა ხარ, მიწად იქეცი; სული შენი კი გაფრინდა უკვე სამუდამო სასუფეველში.

ერთი გზა დაგვრჩენია: მოვაშუროთ შენი და შენი ბიჭის საფლავს; დავხედოთ, მოგეფეროთ და დროის მონაკვეთმა კვლავ დაგვაშოროს ჩვენს ამქვეყნიურ ურთიერთობას. იძინე, ნათელო კაცო, მშვიდად იძინე, იმედი გქონდეს შენი ოჯახისა, ულალატო ფუძისა. გწამდეს ჩვენი და ყველა სისხლ-ხორცისა.

მოფერების ეს დაგვიანებაც გვაპატიე დიდსულოვანო კაცო!

**ოჯახი**

## ჩვენს სიყვარულს არასოდეს ექნება დასასრული, ბონდო!

**გაზაფხულის მთვარიანი ღამეა, უცნაური, იდუმალი ღამე. ძილის შუამავლები ქუთუთოებზე არ სხდებიან და გამუდმებული ფიქრებისკენ მეძალებიან. ეს ფიქრი შენ დაგტრიალებს, ბონდო, შენ და ცაზე უკუნეთს გაძალიანებულ მთვარეს. ალბათ, გაინტერესებს, ყველაფერი როგორ დაიწყო? სულის მარადიულობამ როგორ შეითვისა თვალებაალებული ჭაბუკი, რომელიც პირველი დანახვის შემდეგ მიტრიალებს მხედველობის სარკეში და ბავშვობისას სიზმარში ხილულ საოცნებოს რომ ჰგავს, კიდევ იმას, ერთ ზღაპარში მეფის ასულს მთვარიდან გმირი ჭაბუკი რომ გამოეცხადა და სამუდამოდ ჩაუსახლდა სულში.**

**რატომღაც ღამე მენატრება. ღამე და მთვარე, რომ დევგმირი ჭაბუკივით გამომეცხადო და ღმერთების საუფლოსაკენ გამიტაცო. მე გატაცება რად მინდა, ნებით გამოგყვები, თუნდაც ყველაზე უცხო ქვეყანაში.**

**იქნებ მე, ჩემი ველური სიყვარულის გარდა, ვერაფერი შემოგთავაზო. კიდევ ერთგულება და უსაზღვრო ამბორი. მენატრები, ბონდო, მზად ვარ შეგეწირო, შენი ხანთელივით დავდნე და დავიფერფლო.**

**ახლა გაზაფხულია, ყვავილები ყვავიან. დარდია ჩემს გულში და თითქოს მინდვრის ბინადართა ფუსფუსში შენი ხმა ისმის: მეძახი, ჩემო ბონდო. გაზაფხული თუ ურთმანეთოდ გაილია, მერე მეშინია, ძალიან მეშინია, არ დამეკარგო. ზაფხულის წვიმებმა თან არ წაგიტანონ და მე მარტო, ეულივით, შემოდგომის ოქროსფერ ველ-მინდვრებს აღარ შევხვდები, აღარ. ეს გჯეროდეს. მიყვარხარ და ვტირი. მზე უკვე სამოსელში წვება. ბინდი უჩუმრად მოიპარება. მალე ვარსკვლავებით მოირთვება ზეცის ჭერი. სამყაროს გარდა ხომ ყველაფერს დასასრული აქვს: თავდავიწყებას, დღეს, ღამეს, ბედნიერებას, უბედურებას, ხოლო ჩვენს სიყვარულს არასოდეს არ ექნება დასასრული, ბონდო!**

შენი ნატო.



თაკვერი

დამფუძნებლები: რაიონული გამგეობა და ფირმა „თაკვერი"

რედაქტორი აკაკი ჩიქოვანი

თავისუფალი გაზეთი
ქ. ცაგერი რუსთაველის 69. ტელ. 20-05

რეგისტრაციის № 222

გაზეთი კომპიუტერზე აიწყო და ოფსეტური წესით დაიბეჭდა ქუთაისის გალაკტიონ ტაბიძის სახელობის სააქციო საზოგადოება „სტამბაში"
ქუთაისი ი. ჭავჭავაძის გამზ. 33
☎ 6-07-80, 6-34-99, 6-37-79